ფონდის

№ 133
პარასკევი, 26 ივნისი, 1899 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

1877—1899

ივერია

№ 133
პარასკევი, 25 ივნისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲒᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე ეღირება **6** მან. **50** კაპ.

შევისწავლე რა **ᲡᲐᲔᲙᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐ** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. **ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲘ.** (30—78—18)

ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამ.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—75—9)

«ივერიის» რედაქციისაგან.

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^{1}/_{2}$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი $7^{1}/_{2}$—8 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

ახალი ამბავი

⁂ დღეს იმპერატორის ნიკოლოოზ 1-ლის დაბადების წლის თავზედ, რომელმაც პირველი რკინის გზა გაიყვანა რუსეთში, ტფილისსა და მცხეთას შუა ივლის სააგარაკო მატარებლები, რომლებიც დაწესებულია კვირა-უქმე დღეებისათვის.

⁂ როგორც ისმის, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას სამსახურიდგან გადაუყენებია ხსენებულ საზოგადოების კავკავის სკოლის მმართველი ბ-ნი კახიძე და მის ადგილზედ დროებით დაუნიშნავს იმავე სკოლის მასწავლებელი ბ-ნი ბოცვაძე.

⁂ ქალაქის მოურავს გ. გ. ევანგულოვს ნება მიეცა ორის თვით საზღვარ გარეთ წავიდეს. მისი მოვალეობის ასრულება მიენდო გამგეობის წევრს მ. ს. შესტაკოვს.

⁂ ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. ვ. დოკუჩაევი, რომელიც გამოგზავნილია კავკასიაში ნიადაგის გამოსარკვევად.

⁂ ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ქალაქის ხუროთ მოძღვარს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტთან ერთად ჩაიბაროს ქალაქის სახელით განსვენებულის ნ. ე. ზუბალაშვილის მიერ ქალაქისათვის ნაანდერძევი სახლი, მიიღოს ანდერძის აღმსრულებელთაგან თანხები და შეიტანოს შესანახად ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში; ხოლო ის 4,939 მან. და 88 კაპ., რომელიც ინახება საკომერციო ბანკში, დარჩეს წელს ამავე ბანკში.

⁂ 23 ივნისს ტფილისის ქალაქის სასაკლაოზედ უფროს სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველს ა. გ. ჯაბადარს, სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორს სტეფანოვს და ქალაქის ბეითლებს მოწვეულ ყასაბთა მონაწილეობით მოლაპარაკება ჰქონდათ საქონლის დაკვლის დრო-ჟამის შეცვლისა და საქონლის საურთიერთო დაზღვევის შესახებ. ღამით საქონლის დაკვლის დრო-ჟამში ცოტა რამ ცვლილება იქმნა შეტანილი. რაც შეეხება მეორე—საქონლის დაზღვევას, ყველა დამსწრეთ ერთხმად დაადგინეს სთხოვონ ტფილისის ქალაქის გამგეობას დააჩქაროს საქონლის საურთიერთო დაზღვევის საქმის გადაწყვეტა.

⁂ მიწად მოქმედების მინისტრის რწმუნებულის მინდობილებით, ამ ჟამად კავკასიის საბრეშუმო სადგურის უფროსი მეაბრეშუმე კ. მ. ზანისომი ამზადებს პარიჟის მომავალ მსოფლიო გამოფენისათვის ხელოვნურ ნიმუშებს სხვა და სხვა გვარ ნაყოფებისას, რომელიც კავკასიაში ჰხარობს.

⁂ ქალაქის გამგეობამ დაასრულა 1899 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა და ეს ხარჯთ-აღრიცხვა გუშინ საფინანსო კომისიას გარდასცა აზრის გამოსათქმელად.

⁂ ქალაქის გამგეობამ, განიხილა რა გუბერნატორის შემდეგი ორი წინადადება: გადატანილ იქმნას საქონლის დასაყენებელი ადგილი რიყიდგან ნავთლუღში და შემუშავებულ იქმნას სავალდებულო დადგენილებანი სასანიტარო-საბეითალო ნაწილისთვისაო, დაადგინა: ეუწყოს გუბერნატორს, რომ 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია საქონლის დასაყენებელ ადგილის მოსაკარწყლავად და სხვა მხრივ მოსაწყობად 4,740 მან., მაგრამ რადგან ხარჯთ-აღრიცხვა ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, გამგეობამ დაადგინა ისესხოს საჭირო ფული ქუჩების მოსაკირწყლავად გადადებულ თანხიდგან. საქონლის დასაყენებელ

ფელეტონი

საკუთარი რაჭე-რუმე

(წერილი გურიიდგან)

წელს გონება-მახვილობით განთქმულმა გურულებმა დიდი სიჩლუნგე გამოვიჩინეთ გონებისა და სრულის სავსებით აღვასრულეთ ანდაზა იმ უგუნურის თხისა, რომელმაც სანეკრე ნახა და სახტომი-კი არ გასინჯა. რაც-კი ჩვენში სალი და არა-სალი ყაჭის თესლი მოიტანეს, სულ დავიტაცეთ. წინად თუ მისხლობით ვყიდულობდით და თესლის ავ-კარგის შესახებაც ვზრუნავდით, წელს კოლოფობით მოვალაგეთ სახლში და არც-კი გვიფიქრნია იმის შესახებ, თუ რა ღირსებისა და თვისების თესლთანა გვქონდა საქმე. ამასაც თქვენი ჭირი წაუღია. იმდენად დავეკარგა დავთარი და იმდენად დაგვებნა ანგარიში, რომ სულ გადაგვავიწყდა, თუ ყაჭს ბჟოლის ფოთოლი უნდოდა გამოსაკვებად და თუ უამისოდ, რაც უნდა კარგი ჯიშის ყაჭი გვყოლოდა, პარკს არ გააკეთებდა. ვისაც რამდენი ძირი ბჟოლიცა გვქონდა, იმდენი კოლოფი თესლი გავიჩინეთ, ხოლო ბევრმა ჩვენგანმა ამაზედ მეტი გამჭრიახობაც იხმარა და სრულიად უბჟოლოდაც გაჰბედა „ყაჭის დასმა“. ამ უთაბაუთობას და უანგარიშობას, რასაკვირველია, შედეგად ის მოჰყვა, რომ ბჟოლის ფოთოლის საერთო და საშინელი სიძვირე ჩამოვარდა. იყო მაგალითი, რომ ერთი ფუთი ბჟოლის ფოთოლი მანეთად და მეტადაც გაიყიდა. ამნაირად, ვისაც საკუთარი ბჟოლი არ გააჩნდა, ცუდის მეთევზისა არ იყოს, უბრალოდ წყალთა მღვრევანი-ღა შერჩა და თუმცა მრავალმა იკბინა თითზედ, მაგრამ წამხდარი საქმე ამით ვერ გამოაბრუნა. კიდევ კარგი, რომ „ზოგი ჭირი მარგებელია“ ხოლმე და სწორედ ამ ჭირმა გვიშველა, თორემ წლევანდელი ყაჭი უკანასკნელის ასაკის დასაწყისშივე სრულიად ამოწყდებოდა უჭმელობით.

რა იყო ეს მარგებელი ჭირიო? იკითხავთ. რა და უვარგისობა ზოგიერთ ფირმის თესლისა, რომელიც მურობაშივე (გამოსვლისათანავე) გაფუჭდა და მით ბჟოლის ფოთოლი უფრო სალის ჭიისათვის გადარჩა. ყალბის საქონლისაგან ასეთი ნამუსიც დიდი საქმეა.

აგე იყო თუ ისე ვაინაჩრობით გამოკვებულმა ჭიამ პარკი გააკეთა, ხოლო პარკს კი, შარშანდელთან შედარებით, ფასი აღარ დაურჩა. პირველად ამხანაგობაცა და კერძო კაცებიც 12—13 მ. ჰყიდულობდნენ ფუთ პარკს, მაგრამ შემდეგ 10—9 მან. ჩამოიყვანეს იმისი ფასი. ამხანაგობას შარშანდელზედ სამჯერ მეტი სამზადისი ჰქონდა პარკის საყიდლად, მაგრამ მაინც ვერ აუვიდა. უფულობას იმდენად არ დაუბრკოლებია, რამდენადაც იმ გარემოებამ, რომ ვერც სახრჩობი ღუმელები ასწრებდა მუშაობას და არც გასაშრობი ადგილი იყო. ამიტომ ამხანაგობა იძულებული გახდა რაოდენობა საყიდელის პარკისა თვისის ძალ-ღონისათვის შეეფერებინა, რომ ჭიას პეპლად გადაქცევა არ მოესწრო და მით ზარალი არ მოსვლოდა. ეს ამბავი კერძო მყიდველთა ყურადღებას, რა თქმა უნდა, არ გამოეპარებოდა, რის გამოც პარკის მაზანდა იმათ ნება-სურვილზედ გადასაკვეთი შეიქმნა.

ამ ნაირად პარკი შარშანდელზე გაცილებით მეტი მოვიყვანეთ, მაგრამ გამოკვება ჭიისა მამასისხლად დაჯდა და მწარმოებელს-კი ხელში არაფერი შერჩა. განსაკუთრებით ისინი დარჩნენ პირში ჩალა გამოვლებულნი, ვისაც საკუთარი ბჟოლი არ მოეპოვებოდა.

ასეთი საქმე დაგვმართა ჩვენმა სულსწრაფობამ, სანეკრის ნახვამ და სახტომის არ გასინჯვამ. კიდევ კარგი, რომ ეს მწარე გაკვეთილი იკმარებოდეს ჩვენთვის და გონზე მოგვიყვანდეს, გამოცდილებად გამოგვადგებოდეს, დაკვირვებას მიგვაჩვევდეს და ანგარიშს დაგვასწავლიდეს.

პირველი და დასაშური საქმე ჩვენის ხალხისათვის არის ბჟოლის გაშენება, რასაც არც დიდი ლარი და ხაზი უნდა, არც დიდი ცოდნა და ხერხი. მეყაჭეობასაც რომ თავი დავანებოთ, ბჟოლს მეურნეობაში დიდი გასავალი და მოთხოვნილება აქვს, მრავალგვარად საჭირო და სასარგებლოა. წნელად, სარად, ბოძად, ბასკად და თვით საყაჭე ჩელტად შეუდარებელი რამ არის. გურულების საყვარელ სამუსიკო იარაღ ჩონგურსაც, რომელსაც ეხლა ისე შეუბრალებლად და უსართოდ „ბუზიკაზე“ სცვლიან, განსაკუთრებით ბჟოლის ხისაგან აკეთებენ. ნაყოფისაგან შეიძლება არაყი გამოიხადოს და ღვინოც გაკეთდეს, როგორც მცოდნე კაცები გვარწმუნებენ. წარმოიდგინეთ ჩვენი გამჭრიახობა და უნარი მეურნეობისა, რომ დღეს აქამომდე ასეთ ძვირფასს მცენარეს არავინ ყურადღებას არ აქცევდა და არც აქცევს. თითონ ყოვლად მოწყალე ბუნება რომ არ სცდილიყო იმის შენახვასა და გამრავლებას, ეხლა ერთი ძირიც არ იქნებოდა ის ჩვენში. მთელი გურია სიგრძე-სიგანეზე შეგიძლიანთ შემოიაროთ და ვერსად ვერ შეხვდებით, რომ ბჟოლი ადამიანის მოვლა პატრონობით იყოს აღზრდილი და არა თავისთავად, ჩვენდა სამადლოდ, აღმოცენებული. სამაგიეროდ ნახავთ გასაოცარსა და აღმაშფოთებელს სურათს იმისას, თუ რა დიდის მეცადინეობით და მუყაითობით შემოურგავს გურულს თვისი ეზო და კარ-მიდამო თხემლით (მურყნის ხე). მერე იცით, ვინა ბრძანდება ეს თხემლა და რა ღირსება-თვისებით არის შემკული, რომ გურულები ასეთის პატივით ეპყრობიან, ასე ეთაყვანებიან? მეურნეობაში არაფრად გამოსადეგი არ არის. ასე გასინჯეთ, შეშადაც-კი გაჭირვებულის კაცის მეტი არ იხმარს და ყოველ ამ სიკეთეს გარდა, უკაცრაული მოხსენებაა, მყრალი მცენარეა, ჰაერს ანესტიანებს და აფუჭებს. ადგილობრივ მკურნალთა აზრით და დასკვნით აქაურს ციებცხელებაში, სხვათა შორის, ამ ჩვენ საყვარელ მცენარის სიმრავლესაც მიუძღვის თურმე თვისი წილი დანაშაული.

წარსულის გამობრუნება ხომ შეუძლებელია, მაგრამ მომავლისათვის იმედია ყოველსავე ამას შეიგნებენ და გაითვალისწინებენ გურულები და ბჟოლის გაშენებას დიდის გულმოდგინებით შეუდგებიან. ის ადგილი, რაც დღეს ჩვენში თხემლას, ამ არა თუ მარტო უსარგებლოს, არამედ პირდაპირ მა-

ადგილის ეხლავე გადატანა ნავთლუღში, გამგეობის აზრით, მოუხერხებელია, რადგან ვიდრე ეს ადგილი არ მოიკირწყლება, არ შეიძლება ზედ არც წყლის მილისა და არც სხვა მოწყობილების გაკეთება. ადგილის მოსაკირწყლავად საჭირო იქნება $1^{1}/_{2}$—2 თვე. რაც შეეხება სასანიტარო-საზეითალო ნაწილის სავალდებულო დადგენილებათ, ასეთი დადგენილებანი უკვე წარმოდგენილია პროექტად სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორისმიერ, მაგრამ გამგეობამ ჯერ ვერ მოასწრო მათი განხილვა.

⁂ გუშინ, 24 ივნისს, ტფილისის პურის მცხობელთ ქალაქის საბჭოზედ საჩივარი მიართვეს გუბერნატორს. საჩივარში პურის მცხობელნი ამბობენ, რომ საბჭომ ძალიან დაუკლო პურის ნიხრსაო.

⁂ 22 ივნისს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოებას წლიური კრება ჰქონდა. კრებამ მოისმინა და დაამტკიცა გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ 1898 წელს და 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. შემდეგ მოხდა არჩევანები გამგეობის წევრთა. არჩეულ იქმნენ: ნ. კ. კესსენიხი, ა. ზ. ევანგულოვი, ნ. პ. ისაევი, მ. დ. აგლაძე, ანტონოვი და ბახტაძე.

⁂ ბორჯომის რკინის გზის გაყვანის დროს მოისპო სოფ. ვარდგინეთიდგან და სხვა სოფლებიდგან ბორჯომისაკენ მიმავალი საეტლო გზა და ამის მეოხებით ბორჯომის ნაწილის მრავალი სოფელი მოსწყდა დანარჩენს ქვეყნიერებას. ასეთმა გაჭირვებულმა მდგომარეობამ აიძულა მრავალი სასოფლო საზოგადოება საერთო თხოვნა წარედგინათ სათანადო მთავრობისათვის იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზას დავალებოდა მოსპობილ გზის აღდგენა. ამ ჟამად ხსენებულ საურმე გზის აღსადგენი მუშაობა უკვე დამთავრდა და დიდის ხნის უგზოობის შემდეგ ადგილობრივ მცხოვრებთ დღეს ისევ შეუძლიათ ბაზარზედ გაიტანონ თავიანთი ნაწარმოები („ახ. მიმ.“)

⁂ „ტფ. ფ“-ს ატყობინებენ, რომ პეტერბურგში არსდება კერძო საზოგადოება ადგილ-მამულების მოსარწყავად კავკასიაში. საზოგადოებას განზრახვა აქვს გამართოს სარწყავი მოწყობილება თავისის ხარჯით, იმ პირობით, რომ იმათ, ვინც წყლით ისარგებლებს, განსაზღვრული გარდასახადი გამოართვას.

⁂ იმავე გაზეთსა სწერენ, რომ მიწად მოქმედების მინისტრის ერმოლოვის კავკასიაში ყოფნის დროს საბოლოოდ გადასწყდება ოძისში სამეურნეო სკოლის დაარსების საქმე.

◆

იმერეთის საეპარქიო სანთლის ვაჭრობისა და ქარხნის შესახებ.

ამ სამის წლის წინად ყოვლად სამღვდელომ იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა იმერეთის საეპარქიო სანთლის ქარხანა და სანთლის ვაჭრობის საქმე სამღვდელოებას გადასცა. სამღვდელოებამ ამ საქმის მმართველად კომიტეტი აირჩია, რომელსაც სანთლის საქმის წარმოების წესდების შედგენა დაავალა. კომიტეტის თავმჯდომარემ დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ თავისი შედგენილი წესდება სამღვდელოების კრებას წარუდგინა განსახილველად. ამ წესდების ძალით სანთლის ქარხანას ზედამხედველი უნდა ჰყავდეს და სანთლის წარმოების საქმეს კომიტეტი განაგებდეს. თუმცა სამი წელიწადია, რაც წესდება მიღებულია, მაგრამ ჯერ კიდევ ქარხანას ზედამხედველი არა ჰყავს და კომიტეტმაც ჯეროვანი მოქმედება ვერ გამოიჩინა, რადგანაც წესდების ძალით მოვალეობანი წევრთა შორის რიგიანად არ არის განაწილებული.

კომიტეტი შესდგება თავმჯდომარისა, საქმის მწარმოებლისა და ხაზინადრისაგან. მათი მოვალეობაა: ა) თავმჯდომარე ჰნიშნავს კომიტეტის სხდომებს, განსახილველ საგნებს წარუდგენს სხდომას, ხელს აწერს კომიტეტიდგან გასულ ქაღალდებს, თვალ ყურს ადევნებს სისწორეს და წარმოებას საანგარიშო წიგნებისას. ბ) საქმის მწარმოებელი ადგენს ჟურნალს და ქარხნის საქმეების შესახებ ყოველ-გვარ მიწერ-მოწერას ასრულებს. გ) ხაზინადარი სანთლის გამყიდველთაგან იღებს ფულს ბანკში შესანახავად და გამოაქვს იქიდგან კომიტეტის მინდობილებით, აწარმოებს შესავალ-გასავლის წიგნებს და ადგენს შემოსულ და გასულ ფულის ყოველ-თვიურ ანგარიშს.

ამნაირად კომიტეტის თითოეულ წევრს თავისი განსაზღვრული მოვალეობა აქვს, მაგრამ შრომა-კი მათ შორის უსწორ-მასწოროდ არის განაწილებული. მხოლოდ ერთი წევრის—ხაზინადრის—მოვალეობა ითხოვს შრომას, დანარჩენნი-კი თითქმის თავისუფალნი არიან. თუ რამდენად ადვილი ასასრულებელია თავმჯდომარის და საქმის მწარმოებლის მოვალეობა, შემდეგი ცნობებიდგან დავინახავთ: 1898 წელს კომიტეტს სამჯერ ჰქონია სხდომა და სამი ჟურნალი დაუდგენია; ამავე წელში შვიდი ქაღალდი შემოსულა და გასულა. ეს გარემოება კომიტეტის სიზარმაცეს არ მიეწერება; სანთლის წარმოების საქმეში სხდომები, ჟურნალების შედგენა, მიწერ-მოწერა და სხ. ამ გვარი რამე დიდს საჭიროებას არ შეადგენს. აქ ორი უმთავრესი საქმეა: ა) სანთლის დამზადება და ბ) სანთლის გაყიდვა; პირველისათვის საჭიროა, ქარხანა იყოს რიგიანად მოწყობილი, ჰყავდეს ზედამხედველი, რომელმაც ყური ადევნოს სანთლის დამზადებას და ქარხნის ყოველ გვარ ქონებას; მეორე საქმისათვის საჭიროა ერთი კეთილ საიმედო სანთლის გამყიდველი და მეორე—შესავალ-გასავლის წიგნის მაწარმოებელი კაცი, რომელიც დავალებული იქნება სანთლის გამყიდველს ფული ჩამოართვას ხოლმე და ბანკში შეიტანოს. რადგანაც ჯერჯერობით ეს საქმე დიდად საძნელო არ არის, ადვილად შეიძლება, რომ ეს საქმეც ქარხნის ზედამხედველმა აასრულოს ამ ნაირად: სადამომდის ქარხანაში მუშაობას ყური უგდოს, საღამოზედ, როდესაც მუშაობა შეჩერებულია, მივიდეს სანთლის დუქანში, გაყიდულ სანთლის ფული მიიღოს, წიგნში ჩასწეროს და მეორე დღეს ბანკში შესანახავად გაგზავნოს. ამ ნაირად, ჯერჯერობით, ვიდრე სანთლის წარმოების საქმე არ გაძლიერდება, ქარხნის ზედამხედველს ადვილად შეუძლიან სანთლის ვაჭრობის საქმეც განაგოს. რაიცა შეეხება ცვილისა და სხვა საჭირო მასალის მოპოვებას, ამისათვის საჭიროა იქმნეს არჩეული კომიტეტი, რომელიც, სხვათა შორის, ვალდებული იქნება, ყოველ ორ კვირაში ერთხელ შეამოწმოს სანთლის ღირსება და კასსა, თვეში ერთხელ—შესავალ გასავლის წიგნი და ორ თვეში ერთხელ—მთელი ქონება ქარხნისა და სანთლის საწყობისა. თუ ამნაირად მოეწყო სანთლის ვაჭრობისა და ქარხნის წარმოების საქმე, ბოროტ-მოქმედება მოისპობა და ხარჯიც რაოდენადმე შემცირდება, რასაც ქვემო მოყვანილი ანგარიშიდგან დავინახავთ:

ეხლა იხარჯება:	მან.
სანთლის დამზადებისათვის	1800
სანთლის გამყიდველს	360
კონტროლიორს	200
კომიტეტის წევრებს	500
სულ	2860

ჩვენის პროექტით დაიხარჯება:	
ქარხნის ზედამხედველს	600
მოხელეს და მის თანაშემწეს	800
შეშა და ნახშირი	300
სანთლის გამყიდველს	360
ქარხნის დარაჯს	180
კომიტეტს	450
სულ	2690

ა. გ.

◆

რუსეთი

ყირიმელმა მეღვინეებმა ახალი საზოგადოება შეადგინეს. ამ საზოგადოებას აზრად ექმნება ბრძოლა გაუწიოს იმათ, ვისაც რუსეთის ღვინოები საზღვარ-გარეთ გააქვთ და იქიდგან შემდეგ საზღვარ-გარეთულ ღვინის სახელით რუსეთში შემოაქვს გასასყიდად. საზოგადოებას აზრადა აქვს გაზეთის შემწეობით გამოაქვეყნოს ხოლმე ასეთის ვაჭრების სახელი და გვარი.

— იმპერატორის ალექსანდრე პირველის სახელობის საინჟენერო ინსტიტუტში მომავალ სამოსწავლო წელს მიიღებენ სულ 115 კაცს; აქედგან პირველ კურსზედ—100 კაცს, მეორეზედ—10 და მესამეზედ 5 კაცს.

— მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ სენატმა ლაპარაკი აღძრა სასულიერო სემინარიების პროგრამების შეცვლის შესახებ. აზრადა ჰქონდათ შეემცირებინათ საზოგადო საგნები და სპეციალური, სალვთის-მეტყველო-კი—გაეძლიერებინათ. ეხლა სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, შეუძლებელად უცვნიათ ამ პროექტის განხორციელება.

— გზათა სამინისტრო, იმავე გაზეთების სიტყვით, შესდგომია იმ ახალის წესების შემუშავებას, რა წესებითაც უნდა მოხდეს ხოლმე იმათი გამოცდა, ვინც მაშინისტისა და იმის თანაშემწის თანამდებობებზედ ემზადება.

— სასულიერო უწყებამ ყველა ეპარქიაში განკარგულება მოახდინა იმის შესახებ, რომ სადაც შეძლება ხელს მისცემთ გამართონ საკვირაო სკოლები სამრევლო-საეკლესიო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთათვის.

— წელს სამკურნალო დეპარტამენტში პირველად მიიღეს მკურნალი ქალები შტატ-გარეთ უმცროსს მო-

---

ვნებელ მცენარეს უჭირავს, ბჟოლს რომ დავუთმოთ, დიდი დოვლათი დატრიალდება ჩვენში და, ამას გარდა, ჯანმრთელობის მხრითაც მოგებულნი ვიქმნებით. საკუთარის ბჟოლით გამოკვებულის ჭიის პარკი ფუთი თუნდა ათ მანეთზე მეტად არ გაიყიდოს, მაინც დიდი ღვთის წყალობა იქნება.

მეყაჭეობა ისეთი დიდი და სამარადისო საქმეა, რომ იმისი მოთხოვნილება თან და თან იმატებს. აბრეშუმეულ ფართალს ყოველთვის დიდი გასავალი ექმნება. ხოლო გამოგონება ისეთის მანქანისა, თუნდ თვითონ დიდებულმა ედისონმაც შეიწუხოს თავი, რომ ბჟოლის ფოთოლი აბრეშუმად აქციოს და ეს საიდუმლო ყაჭს ხელიდამ გამოაცალოს, ვგონებ შეუძლებელი იქმნება. ამიტომაც ვამბობ, რომ ეს საქმე სამარადისოა-მეთქი. ყაჭს აბრეშუმის გაკეთებაში და ფუტკარს თაფლისა და სანთლის მომზადებაში მეტოქე არაოდეს არ უნდა ეყოლოს. მეფუტკრეობა თუმცა ძალიან სასარგებლო და საინტერესო დარგია მეურნეობისა, მაგრამ ცოტა არ იყოს რთული საქმეა. მეყაჭეობა-კი შედარებით იმდენად მარტივი და ადვილია, რომ ეს საქმე ჩვენში მანდილოსნების საკუთრებად გარდაიქცა. ეს გარემოებაც ფრიად საგულისხმო და საანგარიშოა. მართალია, ჩვენში დიდის გამრჯელობითა და მუყაითობით განთქმული არავინ არის, მაგრამ ამ მხრივ მანდილოსნები უფრო არხეინად ჰბრძანდებიან და არც-კი იციან თავისუფალი დრო რომელ ფუქსავატობას მოახმარონ. ნუ თუ სანატრელი და სასურველი არ არის, რომ იმათ მოცალეობის ზღვას მთელის წლის განმავლობაში ერთისა თუ ორის თვის მადლიანი და ბარაქიანი შრომა გამოვრჩეთ.

მადლიანი და ბარაქიანი შრომა-კი მაშინ იქმნება, როცა თითოეულს ჩვენგანს იმდენი ბჟოლი ექმნება, რამდენსაც ჩვენი დიასახლისები დაისაჭიროებენ ყაჭის გამოსაკვებად. ხოლო ზრუნვა მთავრობისა და მოწინავე კაცთა იმად უნდა იყოს მიმართული, რომ ხალხმა უეჭველად საღი და კარგის ჯიშის თესლი იშოვოს გასასყიდად და არამც და არამც სათუოსა და ყალბ თესლს გასავალი არ ჰქონდეს. ტფილისის საბრეშუმო სადგური, სამეურნეო საზოგადოება და ჩვენი კერძო ამხანაგობანი ამ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით ნებსით არის თუ უნებლიეთ, ვერ არიან პირნათლად ხალხის წინაშე. იმდენიც ვერ მოუხერხებიათ, რომ მეყაჭენი ყალბის თესლისაგან დაიხსნან და პარკის აღებ-მიცემობა ჩარჩების ულმობელ ბრჭყალებისაგან განათავისუფლონ. ხოლო ერთიცა და მეორეც, თუ საქმის მსვლელობა ასე გაგრძელდა, მეყაჭეობის აღორძინება-განვითარებას ხელს შეუშლის, და შეიძლება კიდევაც იმსხვერპლოს სრულიად, რადგანაც, თუ თხის პატრონს თხის კუდის მეტი არაფერი ხვდა, ასეთ პატრიანობას არც ერთი ბრიყვი და დამთხვეული არ მოჰკიდებს ხელს.

ღმერთმა დაიფაროს, რომ ეს უკანასკნელი ჩემი მოსაზრება გამართლებულ იყოს, თორემ ეს იქმნება დამრეტა იმ ერთად ერთის წყაროსი, საიდგანაც ჩვენი ხალხი, მას შემდეგ, რაც სიმინდის ფასი დაეცა, ცოტაოდნად ფულს ჰშოულობს. შეიძლება ზოგმა არ იცოდეს ეს ამბავი და ამ უცოდინარობით არცა სტკიოდეს რა, მაგრამ ნამდვილად-კი ასეა, რომ ეხლა ყოველგვარი გარდასახადი, სავალდებულო და არა სავალდებულო ანგარიშები, ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რაშიაც ფული უნდა დაიხარჯოს, ჩვენებურ გლეხკაცს პარკზედ აქვს მიპირებული. ყოველგან და ყველაფერში პარკია იმისი თავმდები. თუ პარკი არის და ხეირიანი ფასიც აქვს, ჩვენი გლეხიც ასე თუ ისე პირნათლად გამოდის ანგარიშების წინაშე. არ არის პარკი ან და არის და რიგიანი ფასი არა აქვს, მაშინ ისიც პირშავია მთავრობასთანაცა და ქვეყანასთანაც. ხოლო გლეხ-კაცის ამ გვარი პირშავობა რომ საერთო ჭირი და უბედურებაა, ამას რა დიდი ლაპარაკი უნდა. მაშასადამე, არც იმას უნდა დასჭირდეს დიდი დამტკიცება, რომ ჩარჩების ხელში ჩავარდნა ყაჭის თესლის ყიდვა-გაყიდვის საქმისა და პარკის აღებ-მიცემობისა განსაცდელია ჯერ თითონ ამ წარმოებისათვის, მერე მწარმოებელთა ნივთიერ კეთილდღეობისა და, დასასრულ, სახელმწიფო ინტერესისათვისაც-კი.

კნინი

◆

„აი შე ურჯულო“!..

(პაწია ამბავი)

I

მთელი ქალაქი შესძრეს და ვერადა-ვერ უშველეს მარტირუზას: რაღაც უცნაურ სენს შეეპყრო და ვერც წამალი უდგებოდა და ვერც ხატი...

მარტირუზა არას იტკიებდა, მხოლოდ სანთელსავით დნებოდა და ისე ოხრავ-ჰკვნესოდა ხანდახან, თითქო გულზე რაღაც ლოდი აწევსო და იმის მოშორება უნდაო...

მარტირუზა მაშინ უფრო სწუხდა და ჰშფოთავდა, როცა გიჟ მიხაკას დაინახავდა ხოლმე: სცდილობდა თვალი მოერიდებინა, არ დაენახა, მაგრამ სადაც უნდა დამალვოდა, გიჟ მიხაკა ერთ მაინც მაგრა მიაძახებდა „აი შე ურჯულო“-ო და მერე თავისს გზას გაუდგებოდა...

მარტირუზა რაც უნდა კაი გუნებაზედ ყოფილიყო, გიჟ მიხაკას დანახვაზედ და იმის ძახილის გაგონებაზედ მთლად ტანში იშლებოდა და ისე ღონდებოდა, თითქო რაღასაც ნანობსო... რაღაც ცოდვა აწუხებს—ჰქეჯნისო...

დიახ, მარტირუზას გიჟ მიხაკა შეეჯავრა და რომ არა სწყენოდარა, უბრძანა თავისს ბიჭებს, მიხაკა დუქნის ახლო-მახლო არ გაეჭაჭანებინათ, არ გაეტარებინათ..

მიხაკაც არა საჭიროებდა მარტირუზას გარშემო შემოჰხვეოდა, საკმარისი იყო ერთი ორჯელ შორი-ახლო დაეძახა: „აი შე ურჯულო“ რო მარტირუზას ტუჩის ფერი სცვლოდა, თავსზარი დასცემოდა...

მარტირუზას რომ ჰკითხავდნენ ხოლმე გიჟ მიხაკას ათვალწუნების მიზეზს, ის სწორე პასუხს არ აძლევდა—სიტყვას უტრიალებდა; ხან ამბობდა: „გიჟს მორიგება უნდაო“... ხან სჩიოდა: „მათხოვრობით მომაბეზრა თავიო“... იმის სულის შფოთვისა და ყოყმანობისთვის-კი რო ყური გეგდოთ, ამას ლუღლუღებდნენ: „მე ჩავდექი გიჟ მიხაკას ცოდვაში და სირცხვილით ხმა ველარ ამომილია“-ო. „პირშავი ნათელს ვერ უმზერო“.

ხელყებად. ეს ქალები არიან: მალიარევსკისა, პოკროვსკისა და პავლოვსკისა.

— მთავრობამ განმარტა, რომ არა-ქრისტიანე მუშათათვის სავალდებულო არ არის მუშაობა აჰკვეთონ იმ დღესასწაულებში, როცა ქრისტიანე მუშებს აღკრძალული აქვთ იგი.

◆◆

უცხოეთი

—

ინგლისი. სამხრეთ აფრიკის მდიდარ სინდიკატის პრეზიდენტს სესილ როდსს ოქსფორდის უნივერსიტეტმა საერთაშორისო დოქტორის ხარისხი უბოძა. ამ ამბის ისტორია ძლიერ საინტერესო არის. 1892 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის საბჭომ აუწყა როდსს, რომ დოქტორის მანტიისათვის მოდი, როცა გესურვებოდეს, რადგან დოქტორის ხარისხით დაგაჯილდოვა უნივერსიტეტმაო. იმ დროს როდსი ცნობილი იყო როგორც მკვლეველი ახალი ქვეყნისა და აგრეთვე როგორც თავ-გამოდებული ჰომრულიორი, რომელმაც 10 ათასი გირ. სტერ. შეიტანა ირლანდიისათვის ავტონომიის მოსაპოვებლად. შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და სესილ როდსის ვინაობაც უფრო დაწვრილებით გაიგეს ყველგან. როდსი გახდა უკიდურეს ჯინგოიზმის ბურჯად; ამასთან ერთად იმან საგნად გაიხადა ტრანსვაალის დამორჩილება ინგლისისათვის, რის გულისათვისაც, როგორც გამოაშკარავდა, დოქტორ ჯემსონის მეთაურობით შეთქმულობა მოახდინა. გარდა ამისა ის, როგორც მდიდარ ამხანაგობის მოთავე, ბირჟის ნამდვილ მეფედ გახდა და იმის ბედიღბალს, როგორც სურს, ისე ატრიალებს. ყოველივე ამას ისიც ზედ დაერთო, რომ როდსმა, გამოჩენილ მოგზაურების—პასტორის ბლენისა და ოლივე შრაიენერის მოწმობით, აფრიკის ძირითადი მცხოვრებნი სრულებით დაიმონავა: იმათ ისე ამუშავებს სინდიკატის მადნებში, როგორც თითონ სურს და ქირასაც იმდენს აძლევს (ანუ სრულებით არას აძლევს), რამდენსაც თითონ მოიწადინებს. ერთი სიტყვით ამ 7—8 წლის განმავლობაში სესილ როდსმა დაჰკარგა სწავლული კაცის სახელი და ყველამ ისე იცნა ის, როგორც უბრალო გაქნილი კაცი. ამასთან ერთად როდსი არ ჩქარობდა თავისის „მანტიის" მისაღებად მისვლას უნივერსიტეტში. მხოლოდ წრეულს გამოაცხადა, რომ მანტიისათვის უნდა მივიდე ოქსფორდშიო. როცა ეს გაიგეს, ოქსფორდის პროფესორებმა წინააღმდეგობა გამოაცხადეს გაზეთებში, თუმცა თითონვე ამბობდნენ, რომ მანტიის მიღებას ვერ დავუშლით როდსსო, რადგან 1892 წლის გარდაწყვეტილება 1899 წელსაც ძალაში რჩებაო. რადიკალური გაზეთები გულდაწყვეტილად ამბობდნენ, რომ, სამწუხაროდ, მხოლოდ წინააღმდეგობის გამოცხადებით უნდა დაკმაყოფილდნენ პროფესორებიო. სესილ როდსს მტრების გარდა მოყვრებიც აღმოუჩნდნენ: ოქსფორდის ტორები ჰკიცხავდნენ პროფესორების საქციელს, რომელთაც „ანარხისტებს" ეძახდნენ პროტესტის გამოცხადებისათვის, და ჯინგოისტებმა როდსის პატივსაცემლად მანიფესტაცია გამართეს მანტიის მიღების დროს.

—

ავსტრო-უნგრეთი. ამას წინად იმპერატორი ფრანც-იოსები კაი ხანს იყო ავად. ამ 2—3 კვირის წინად განთავისუფლდა ავადმყოფობისაგან და მუშაობა დაიწყო, მეტადრე დიდს მონაწილეობას იღებდა ავსტრო-უნგრეთის შორის სავაჭრო და სადამოყნო ხელშეკრულობის დადებაში, მაგრამ, როგორც იუწყებიან გაზეთები, იგი კარგად არ ყოფილა მორჩენილი და რადგან უდროვოდ შეუწყვეტია წამლობა, ამიტომ ისევ გამხდარა ავად. ზურგსა და ფერდებში იმპერატორს ტკივილი განახლებია და ამასთანავე ისე ძლიერ, რომ მოძრაობას უშლის თურმე. ექიმებს ურჩევიათ მისთვის გაშტეინში წავიდეს და დიდხანს იყოს იქ; ასე რომ, ზოგიერთების იმედი—იმპერატორი ჩქარა განთავისუფლდება ავადმყოფობისაგანაო, არ გამართლდა. თითონ იმპერატორს-კი იმაში სდომებოდა ამ ზაფხულის გატარება და ამის გამო უარი განეცხადებინა გაშტეინში წასვლის შესახებ, მაგრამ ექიმებს დაურწმუნებიათ ის, რომ უთუოდ გაშტეინში წასვლაა მისთვის საჭირო.

—

საფრანგეთი და იტალია. ამას წინად ქალაქ ნიცაში საფრანგეთის პოლიციამ იტალიელი გენერალი ჯილეტა შეიპყრო, რომელიც საფრანგეთის ციხე-სიმაგრეებს ათვალიერებდა. გამომძიებამ აღმოაჩინა, რომ ჯილეტა იტალიის ჯარში მსახურებს და საფრანგეთში გადმოსულიყო იმ განზრახვით, რომ გაეგო აქაური სამხედრო აგებულებათა საიდუმლო მხარე; გამომძიებამ აგრეთვე ისიც აღმოაჩინა, რომ ეს გენერალი რამდენისამე წლის წინადაც ყოფილიყო საფრანგეთში ამავე საქმისათვის. ყოველივე ამის გამო საფრანგეთის მთავრობამ ჯაშუშად იცნო ჯილეტა და გადაუწყვიტა 5 წლით ციხეში ჯდომა და 5000 ფრანკის გადახდა ჯარიმად. ეს გარდაწყვეტილება ერთობ სასტიკად მიიჩნიეს იტალიაში და იქაური საზოგადოება ძლიერ აღელდა. ეს მღელვარება ჯერაც არ შეწყვეტილა. ოპოზიციის გაზეთები ლანძღვენ გარეშე საქმეთა მინისტრ ვისკონტი-ვენოსტას, რომელმაც, მათის სიტყვით, არავითარი მფარველობა არ გაუწია ჯილეტას. უფრო ზომიერი გაზეთები ასე ფიქრობენ, რომ ორივე სახელმწიფოს მთავრობა ეცდება დაამშვიდონ აღელვებული საზოგადოება და პატიმარ გენერალს რამდენიმედ შეუმსუბუქონ სასჯელიო.

◆◆

სასამართლოს მატიანე

ბოქაულის შეურაცხება.

21 სა და 22-ს ივნისს ქუთაისის ოლქის სასამართლოში, აუარებელ ხალხის თანადასწრებით, გაირჩა საქმე თავადების კონსტ. კონსტ. დადეშქელიანისა და ნიკ. ბესარ. ფალავასი, რომელთაც ჰბრალდებოდათ პოლიციის წინააღმდეგობის გაწევა იარაღით ხელში და ბოქაულის შეურაცხება სიტყვით.

საქმის გარემოება, საბრალმდებლო ოქმის თანახმად, შემდეგია: 1899 წლის 13 აპრილს ქ. ქუთაისში კონსტ. კონსტ. დადეშქელიანმა (იმ დადეშქელიანის შვილმა, რომელმაც მოჰკლა ქუთაისის გენ.-გუბერნატორი გაგარინი), ალ. გრ. შერვაშიძემ, ნიკ. ვას. ფალავამ და სხვებმა გაჰმართეს „იალტას" რესტორანში ქეიფი, რომლის დროს შერვაშიძე რევოლვერს ისროდა, ხანჯლით დასჩეხა მეზურნის დოლი, ესროლა ანთებული ლამპა რესტორანის სტუმარს პასიკოვს და საზოგადოდ მრავალი უწესოება ჩაიდინა. „იალტიდგან" თავადები დადეშქელიანი, შერვაშიძე და ფალავაც შევიდნენ რესტორანის პირდაპირ მყოფს აბანოში, სადაც შერვაშიძე შევარდა ქალების განყოფილებაში, ხოლო დადეშქელიანი და ფალავა-კი კარებში გაჩერდნენ. მობანავე ქალებს შიშისაგან თავზარი დაეცათ, ხოლო ერთ მათგანს გულიც წაუვიდა და წაიქცა გონება-მიხდილი. აბანოს პატრონმა მახარაძემ ეს ამბავი პოლიციას შეატყობინა. დაუყოვნებლივ მოვიდა პოლიციის ბოქაული არსენიევი, რომელმაც აბანოში შესვლის დროს დაინახა, რომ თავ. დადეშქელიანსა და ფალავას გამოჰყავდათ მაშინების განყოფილებიდგან თავ. შერვაშიძე. ფალავამ შენიშნა თუ არა ბოქაული, დაუყვირა; „რა გინდა აქ? აქედგან დაიკარგე, აქ შენი ადგილი არ არისო." ხოლო როცა ბოქაულმა უპასუხა, ჩემი მოვალეობა იყო მოვსულიყავ აქ წესიერების დასამყარებლად და გამოძიების მოსახდენადო, მაშინ ფალავამ კიდევ დაუყვირა: უკეთესია აქედგან დაიკარგოო; ღონივრად ჰკრა ხელი და მიაძახა: დაიკარგე აქედგან, ჩვენ უშენოდაც არა გვიშავს რაო! ამის შემდეგ თავ. დადეშქელიანმაც მოსთხოვა ბოქაულს, წადი აქედგანაო, მაგრამ როცა ბოქაულმა არ გაუგონა, სტაცა ხელი ბეჭებში, მიაბრუნა და ისეთის ღონით ჰკრა ხელი, რომ რამდენსამე ნაბიჯზედ წაადგმევინა ფეხი; რამდენისამე ხნის შემდეგ დადეშქელიანი კიდევ მივარდა ბოქაულს, მიაბრუნა, ერთი ხელით დაიჭირა, მეორე ხელი კი, მუშტი, კისერში დაარტყა და თან ეუბნებოდა დაიკარგეო! ბოლოს-კი წიხლი ჩასცა ისე ღონივრად, რომ ბოქაული კინაღამ წაიქცა... ამასთან დადეშქელიანმა ნახევრად იშიშვლა ხანჯალი და დაიძახა. მაგას ეხლავე თავს წავაგდებინებო. ამის შემდეგ თავადები ქუჩაზედ გამოვიდნენ, ხოლო თავ-ზარდაცემული ბოქაული აბანოში შევარდა.

დადიშქელიანს იცავდა ნაფ. ვექილი გ. ს. ტერ-სტეფანოვი, ხოლო ფალავას—მ. გ. ფალავა.

მოწმეებმა ბოქაულმა არსენიევმა და ნაწილის ზედამხედველმა ბახტაძემ საზოგადოდ დაამოწმეს საქმის გარემოება იმ სახით, როგორც ზემოდ განვმარტეთ, იმ განსხვავებით, რომ ბრალდებულს ფალავას ხელი არ უხლია ბოქაულისათვის, არამედ მხოლოდ მიიწეოდა მისკენაო.

შემდეგ ამ მოწმეთა ჩვენებიდგან აღმოჩნდა, რომ ამ საქმეშიაც თავი უჩენია ქუთაისის ბანკაობის გმირის —კალ. ნიკ. ჩიკვაიძის ხრიკებს. ბრალმდებლის ამხანაგის კითხვაზედ, ზომები ხომ არავის მიუღია მოწმეთა მოსასყიდადაო, მოწმეთ აჩვენეს:

პოლიციის მოხელე ბახტაძე. პოლიციაში მოვიდნენ ნაფიცი ვექილები კალისტრატე ჩიკვაიძე და მელქისედეკ ფალავა და ბოქაულს არსენიევს კითხულობდნენ. რისთვის უნდოდათ მათ მისი ნახვა, მე არ ვიცი, მაგრამ ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ მოწმეთა მოსყიდვა უნდოდათო.

……

II

მეწვრიმალე მიხაკას თავის საქმე კარგად მიჰყავდა: პირიანად ჰვაჭრობდა და მუშტარიც მადლობელი ჰყავდა. მიხას ცოლიც შესაფერი გამოდგა და სცხოვრობდნენ თავიანთვის ტკბილად და უდარდელად.

როცა ბობოლა ვაჭარი მარტირუზაც დაუმეგობრდა, მაშინ ხომ სიხარულით ცას დაეწივნენ. არც თუ საკვირველია: მარტირუზა სოვდაგრად ითვლებოდა, თავისს ტოლამხანაგებს არც-კი ჰკადრულობდა და მიხაკას ხელსაც-კი არ ართმევდა...

მიხაკა ცოტა მიამიტი კაცი იყო და ეგონა რომ... „შვილსავით ვუყვარვარ, ბედსა მწევს"...

ღვთის წინაშე, მარტირუზაც-კი დიდ თანხა-იმედებს აძლევდა:

— თქვენ ნუ გეშინიანთ, თუ რამ გაგიჭირდეთ, მე აქა ვარ,—ეუბნებოდა მარტირუზა: „მე ცოცხალი გყვანდეთ, თორემ „გილდი გუპჩობას" მალე მიგაღებინებ...

ნურას უკაცრავადო, თან გულში ჰფიქრობდა მარტირუზა: „მარტირუზამ არა დაგცინცლოს-რა, თორემ არას გაიმეტებს... მარტირუზამ რო სხვა ვაჭარი ახეიროს, თითონ ხომ იზარალოო...

კეთილ მეზობლებს მიხა ეცოდებ-ენანებოდათ: მარტირუზას არამ ლუკმის მჭამელად იცნობდნენ და ჰფიქრობდნენ, რომ სასიკეთოდ არ დაუმეგობრდაო, დაჰლუპ-დააქცევსო...

მართლაც და მარტირუზას ბევრის ცოდვა ედო კისერზედ: ზოგის მოვაჭრისათვის დამპალი საქონელი შეუცოცებია და მერე ისე თითონვე გაუტეხია მისი ესტიბარიო, ზოგი მედუქნისთვის შეუპარებია აღკრძალული ნივთი და ჯარიმა გარდაუხდევინებიათ, ზოგისთვის კიდევ მიუყიდნია ნაპოვნ-ნაპარევი ავეჯი და თითონ განთავისუფლებულა და სხვა ჩაუთრევია..

……

III

მიხას ცოლი თაფლო თავისს ქმარზედ უფრო გამჭრიახი ქალი იყო და მარტირუზას გაცნობა და დამეგობრება არ ეჭაშნიკ-ესიამოვნა.

თაფლოს ეგება ხმაც არ ამოეღო, მაგრამ... მარტირუზა, როცა მიხას სადმე გაიგულებდა, თაფლოს ეარშიყ-ეალერსებოდა.

— თუ კაცის ჯავრის ამოყრა გინდა, ამბობდა ხოლმე გაიძვერა მარტირუზა, ცოლი აიყოლიე, კაი ცოლი თავმოყვარეობაა ქმრისა და თუ ცოლი შეჰსცდა, ქმარსაც დავთრები აერ-დაერევა...

ყველას ეგონა, რომ მარტირუზა იმიტომ დაუმეგობრდა მიხასაო, რომ თაფლოს დაუახლოვდესო, მაგრამ ქმრის ერთგულ ცოლს მარტირუზა აინუნში არ მოსდიოდა, პირს არიდებდა, მხოლოდ ეს-კი ყველასათვის ცხადი იყო, რომ, რაც მარტირუზამ მიხაკას სახლ-დუქანში ფეხი შედგა, მისი ბარაქ-ვაჭრობა სულ უკან წავიდა: მუშტრები შემოეფანტნენ და საყვედურ-უსიამოვნებას უცხადებდნენ: ზოგი სჩიოდა,—წყალ-ნარევ ნავთსა ჰყიდისო, ზოგი ემდურებოდა,—ქვიშა-ნარევ ქერ-ხორბალს ასაღებსო...

მიამიტი მიხა ვერაფერს მიმხვდარიყო, ხან რას ჰფიქრობდა და ხან რას. თუმცა ხანდახან მარტირუზა რჩებოდა ხოლმე მიხას დუქანში, მაგრამ იმაზედ ვერასფერს ეჭვს ვერ შეიტანდა, რადგანაც ერთმანეთს „ძმა-მეგობრობა" შეჰფიცეს და იმისგან ვერავითარ მტრობას ვერ წარმოიდგენდა..,

ასე თუ ისე, მიხა ძალიან საგონებელში ჩავარდა და არ იცოდა, რით და როგორ გამართლებულიყო ხალხის თვალში...

……

IV

ერთ საღამოს უეცრივ პოლიცია მიუხტა მიხას დუქანს. დუქანი გაქექ-გამოჰქექეს და ყალბი გირვანქა კი უპოვეს..

მიხას ჰირის ოფლი დაესხა, თავს ბრუ დაემართა და ენა ჩაუვარდა... ძლივ-ძლიობით მოიყვანეს გონებაზედ, მარტირუზა-კი... შორიდამ სეირს უყურებდა...

— აი შე ურჯულო!—მარტირუზასკენ წაილუღლუღა მიხამ: ეგ იყო შენი იმედი?!.

მიხას დუქანი დაუკეტ-დაუბეჭდეს და თავი უკრეს ციხისკენ...

თაფლოს რომ ამბავი მიუტანეს, გული გაჰხეთქოდა ელდისაგან...

……

V

მარტირუზა ზეზელა ჩამოხმა და რომ ველარ შესძლო ფეხზე დგომა, ლოგინად ჩავარდა..,

ვერც ლოგინმა უშველა და ოხვრა-კვნესა-ტანჯვაში ამოუვიდა ცოდვილი სული.

მარტირუზა ეკკლესიიდგან რომ გამოასვენეს, ჯვარედინ გზაზე დაასვენეს და ტერტერამ სამგლოვიარო სიტყვის თქმა დაიწყო, ქება-დიდებით მოიხსენია: „მარტირუზა ქვეყნიერობაზე ტყუილად არ იყო გაჩენილიო, სთქვა ტერტერამ: კაცისკენაც იყო, ხატისკენაცაო, მარტირუზას სიკეთე-ამაგი ყველას ყელამდისა აქვს ამოსულიო და იმის სიკვდილმა ყველა ქვრივ-ობლებსაც კი ჩააცმევინა შავიო..."

— „აი შე ურჯულო!..." უცბად საიდგანღაც გაისმა ხმა. მიიხედ-მოიხედეს და... გიჟ მიხაკა დაინახეს: შეშლილი ძონძებში იყო გახვეული.

მიხაკას დანახვაზედ ყველას ბრალი მოუვიდა, ტერტერასაც შერცხვა და ალმული აუვიდა სახეზე...

ამწამსვე არც აციეს, არც აცხელეს, ასწიეს მარტირუზა და ისე აჩქარებული ნაბიჯით მიჰქონდათ სასაფლაოსკენ, თითქო ჭირის დანახვად ეჯავრებოდათ და უნდოდათ მალე მოეშორებინათ თავიდგან მავნებელი მძოვრი...

მარტირუზა სასაფლაოზე მიასვენეს. ტერტერა აქაც შეუდგა ანდერძის აგებას და დაიწყო თუ არა „განუსვენე შენ უფალო..." მოესმა ძახილი: „აი შე ურჯულო!" და შეკრთა-შეყოყმანდა ტერტერა.

მარტირუზასთვის გული აღარავის სტკიოდა და ამიტომ ყველანი განიტურნენ.

— აი შე ურჯულო! მარტო ამას გაიძახებდა საბრალო მიხა: რა დაგიშავე, რო მიმუხთლე?!

მარტირუზა საჩქაროდ ჩაუშვეს საფლავში და მიწის მაყრა დაუწყეს.

— „აი შე ურჯულო" გაიძახოდა მიხა.

ხალხი ცოდვით ველარ დადგა. წავიდ-წამოვიდნენ. ბევრს მწარე ცრემლი გადმოვარდა მარტირუზას სიბრალულით კი არა, მიხას სიბრალულით, საბრალო მიხასი.

დუშელი ვანო,

◆◆

ბოქაული არსენიევი. როგორც ბახტაძემ მიამბო, ჩემთან, როცა მე შინ არ ვიყავი, მოსულიყვნენ ნაფ. ვექილი ჩიკვაიძე და ფალავა ვილაც კაცით, რომელსაც ჯვარი ჰქონოდა მკერდზედ, და შეეძლიათ ბახტაძისათვის 500 მან., ხოლო ჩემთვის-კი —2,000 მან. მეორე დღეს, როცა მე პოლიციის განყოფილებაში ვიჯექ, ჩიკვაიძე და ფალავა მეორე ჯერ მოვიდნენ, იქვე გაიხმეს ბახტაძე და რაღაც ლაპარაკი დაუწყეს. ბახტაძემ, როცა შემობრუნდა, გადმომცა. ისინი ხელ ახლავ მოვიდნენ ჩემთვის 500 მანეთისა, ხოლო შენთვის გუშინდელზედ 1,000 მანეთით მეტის, ე. ი. 3,000 მანეთის მოსაცემადაო.

პოლიციელი ბახტაძე.—მეორეჯერ ჩემთან მხოლოდ ნაფ. ვექ. კ. ნ. ჩიკვაიძე იყო; ხოლო ბოქაულს-კი მე მხოლოდ ის გადავეცი, რომ ქალაქში ხმა გავრცელებულიყო მოწმეთა მოსყიდვის შესახებ.

დანარჩენმა მოწმეებმა, რიცხვით 20 კაცმა დაამოწმეს ბრალდებულთა მიერ ძალ-მომრეობის ხმარება ბოქაულზედ. მხოლოდ ერთმა მოწმემ, დაბალ სკოლის ზედამხედველმა, ვალერიან თუთბერიძემ, რომელიც გამოძიების დროს ერთი უმთავრესი მოწმეთაგანი იყო ბრალდებულთა წინააღმდეგ, სასამართლოში სრულიად უარ-ჰყო თავისი პირვანდელი ჩვენება და განაცხადა, ამ საქმისა არა ვიცი რაო.

ბრალმდებლის ამხანაგი.—თქვენ ნათესავი ხომ არა ხართ ნაფ. ვექილის ჩიკვაიძისა?

მოწმე.—დიახ, ნათესავი ვარ.

22 ივნისს სასამართლომ, ხანგრძლივის თათბირის შემდეგ, ასეთი განაჩენი გამოიტანა: თავადებს დადიშკელიანსა და ფალავას აეყაროთ ყოველგვარი უფლება-უპირატესობა და გაგზავნილ იქმნენ ტომსკის გუბერნიაში.

◆◆

დამაკვირდი

ეტლის საქმე აგრე არის:
ხან გამოუვრებს, ხან გამტრებს.

როსტომ გმირი

* * *

ჯავრის ამოყრა სულიერ სიგლახაკის ნიშანია.

* * *

ადამიანის სულ-გრძელობა უფრო უნდა გვაკვირვებდეს, კიდრე სულ-მოკლეობა, რადგან ეს უკანასკნელი უფრო შესისხლ-ხორცებული გვაქვს.

ბ. დ—შვილი

◆◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ნიუ-იორკელები ძალიან ამაყობენ თავიანთის უნივერსიტეტით. იმათის აზრით, ისეთი უნივერსიტეტი, როგორიც იქ არის, მთელ დედამიწის ზურგზედ არ მოიპოვება. თუმცა ამ უნივერსიტეტის შენობა საუკეთესოა, მაგრამ ნიუიორკელებს მაინც არ აკმაყოფილებს. ამიტომ მოისურვეს ამ მხრივაც პირველობა მიანიჭონ უნივერსიტეტს. უნივერსიტეტის მთავრობამ გადასწყვიტა ამას წინად გადააკეთოს შენობა და ამ აზრით შემოწირულების შეკრებას შეუდგა. როგორც ვუწყით, ამერიკელები ქველმოქმედი ხალხია: ორის კვირის განმავლობაში აუარებელი ფული შეიკრიბა. სხვათა შორის, იმ კომიტეტს, რომელიც ფულსა ჰკრებავს, ადმირალმა დევეიმ (მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ ამ ადმირალმა ესპანელების ფლოტი დაამარცხა ფილიპინებში) გაუგზავნა 20 მანეთის ჩეკი. ამ შემოწირულების წაკითხვისათანავე კომიტეტის ერთმა წევრმა წამოიძახა: „ეგ ჩეკი მე მომეცით. 100 მანეთს გარდავიხდი!“-ო—„მე 200 მანეთსა“-ო, დააყოლა მეორემ და ამ რიგად კომიტეტის წევრებს შორის გაიმართა ვაჭრობა. ყველას უნდოდა ესპანია-ამერიკის ომის გმირის ჩეკი შეეძინა. ხუთის წუთის ვაჭრობის შემდეგ ეს ჩეკი ერთს წევრს დარჩა 800 მანეთად. რასაკვირველია, უნივერსიტეტმა ამით არაფერი წააგო, პირიქით 780 მანეთი მოიგო კიდეც.

* * *

საზოგადოდ ადმირალმა დევეიმ თავისს გამარჯვებებით ამერიკაში დიდი სახელი მოიპოვა. ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მანილიის გმირს მთელმა ერმა რამე თვალ საჩინო საჩუქარი მიართვას. ერთის გაზეთის სიტყვით, ამ აზრს ამერიკელნი დიდის თანაგრძნობითა და სიხარულით მიეგებნენ. იმედი აქვთ, რომ საჭირო ფული—1,000,000 მანეთი—ერთის ან ორის თვის განმავლობაში შეიკრიბოს. ისიც გარდაწყვეტილია, რა საჩუქარი უნდა მიართვან ბედნიერ ადმირალს. ამერაკელებს არ უყვართ მეტი „სანტიმენტალობა“, გრძნობების გამოცხადება, გვირგვინებისა და „პოეტურ“ რამე ნივთის მირთმევა. რადგან საჩუქარია, გამოსადეგი და გამოსაყენებელი უნდა იყოსო, სთქვეს ამერიკელებმა და გადასწყვიტეს, შეკრებილის ფულით მშვენიერი, მოწყობილი და მორთული სახლი უყიდონ და უძღვნან დევეის. აი, ასეთი საჩუქარი და პატივისცემა თავის დღეში არ დაავიწყდება დევეისაო. სახლში იმდენი ოთახი იქმნება, რამდენიც რესპუბლიკაში შტატია, ე. ი. 42—ი; ამასთან თვითეულმა შტატმა თვით უნდა შეაკეთოს, დაამშვენოს და მოაწყოს თვითეული ოთახი.

* * *

პარიჟში ერთი მდიდარი და უზარმაზარი სავაჭრო სახლია—„Bon—Marehe“. მეტად საყურადღებოა ამ სავაჭრო სახლის სამზარეულო. სამზარეულოში ყოველ დღე 4000 კაცისათვის მზადდება საჭმელი. ამის გამო იგი უზარმაზარი და დიდი რამ არის. ამ სამზარეულოს სულ მცირე ქვაბში $6^1/_2$ ვედრო წყალი ჩაეტევა, ხოლო დიდში—33 ვედრო. სამზარეულოს 200 მეტი ტაფა აქვს. თითო ტაფაში 300 კატლეტზედ ანუ 5 ფუთ კარტოფილზედ ნაკლები არ ეტევა. როდესაც ერბო-კვერცხს ამზადებენ, საჭიროა მხოლოდ ერთის სადილისათვის 7,800 კვერცხი. ყავა ყოველ დღე 80 ვედრაა საჭირო. სამზარეულოში მუშაობს 60 მზარეული და 100 მათი თანაშემწე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ივნისი

ბრიუსელი. რადგან მთავრობის წინადადებით კომისიას გადაეცა მთავრობის პროექტი საარჩევნო ცვლილების შესახებ, ამის გამო ეს პროექტი გაუქმებულ იქმნა დიდის ხმით. ამის მიუხედავად სალამოთი დემონსტრაციები მაინც მოხდა.

ბარცელონა. ქუჩის ბავშვების ბრბო ქვებს ესროდა სანტა-მატრონის ეკლესიას და იეზუიტთა სკოლას. მოხდა რამდენიმე შეტაკება. პოლიცია იძულებული შეიქმნა იერიში მიეტანა. ჟანდარმებმა გაჰფანტეს მეამბოხენი. სამი პოლიციელი დაიჭრა. შიშიანობის გამო თეატრები დაიკეტა.

წერილი რედაქციის მიმართ

წავიკითხე კავკავიდგან გამოგზავნილი წერილი აქაური ქართველების კრების შესახებ 6-ს ივნისს. ამ წერილმა კავკაველ ქართველობაში ბევრი მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ჩვენ არ შევეხებით საზოგადოდ ამ წერილის შინაარსს, რადგანაც შეიძლება ჩვენმა შენიშვნამ პოლემიკური ხასიათი მიიღოს; პოლემიკა-კი ღმერთმა გვაშოროს იმისთანა კაცთან, როგორიც უნდა იყოს ბ-ნი „დამსწრე“, რაიცა სჩანს მისი წერილის შინაარსის სისწორიდგან. ჩვენ მხოლოდ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას წერილის იმ ნაწილს, რომელიც პირადად ჩვენ შეგვეხება.

ბ-ნი დამსწრე სწერს: „ბ-ნმა ტ. კახიძემ, რომელიც სკოლის გამგედ არის, განაცხდა, რომ მე თხოვნა შევიტანე კომიტეტში და ვითხოვე განთავისუფლება სკოლის გამგეობისაგან, კომიტეტმა ჩემი თხოვნა მიიღო და თუმცა პასუხი ჯერ არ ვიცი (?) მაგრამ, ჩემის აზრით, საჭიროა, რომ სკოლის გამგეც არჩეულ იქმნას საზოგადოების მიერ სამზრუნველო კომიტეტის წევრადაო“. აქედგან გამოდის, რომ ვითომ მე მსურვებოდეს სკოლის სამზრუნველო კომიტეტის წევრობა, ვინაიდგან უარი განვაცხადე სკოლის გამგეობაზედ.

უკეთუ ჩვენ კომიტეტის წევრობა გვსურებოდა, ის არა სჯობდა, რომ კომიტეტის თავ-მჯდომარედ ვყოფილიყავით? მაისის 24-ს სკოლის მთელი კომიტეტი და კავკავში მეოფი ყველა საპატიო ქართველები, ოც კაცამდე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წევრის, ბ-ნ გ. ნ. იოსელიანის თავ მჯდომარეობით შეკრებილნი იყვნენ სკოლის საქმეების განსახილველად. ამ კრებაზედ მთხოვეს, რომ სკოლის გამგეობისათვის თავი არ დამენებებინა და როდესაც ეს თხოვნა ვერ დავაკმაყოფილე, მთხოვეს რამდენისამე ხნით კრება დამეტოვებინა და მეორე ოთახში გავსულიყავი. როდესაც ხელახლად მომიწოდეს კრების დარბაზში, ერთხმად მთხოვეს, რადგანაც სკოლის გამგეობაზე უარს აცხადებთ, კომიტეტის თავმჯდომარეობა მაინც იკისრეთო, მაგრამ ვერც ეს თხოვნა ავასრულე. აქედგან მკითხველი ცხადად დაინახავს, რამდენად მსურველი ვიყავი კომიტეტის წევრობისა. მართალია, საზოგადო კრებაზე განვაცხადე რომ: „მე უარი ვთქვი გამგეს მოვალეობაზე და დღეს ჩემს მოვალეობას ვასრულებ დროებით, ვიდრე სხვას დანიშნავდნენ და ამიტომ ვაცხადებ,„რომ სკოლის გამგეთ ნულარ მთვლით მეთქი.“

ამ ჩემის განცხადებით მინდოდა საზოგადოების ყურადღება მიმექცია იმ არა სასურველს მოვლენაზედ, რაც დღეს ხდება კავკავის ქართველების სკოლაში. მაგრამ ამ ჩემ განცხადებისათვის გვერდი აქცევინა საზოგადოებას ბ-ნ კრების ხელ-სძღვანელმა და ზოგი იმ აზრს დაადგა, რომ სკოლის გამგე, როგორც უეჭველი წევრი კომიტეტისა, არ უნდა იქმნეს ამორჩეულიო, და ზოგიც ფიქრობდა, გამგეც უნდა ამოვირჩიოთ კომიტეტის წევრადაო.

საზოგადოდ მართალი უნა ვსთქვათ, რომ კრების ხელ-მძღვანელი ძალიან სუსტად ასრულებდა თავის მოვალეობას, რის შედეგმა უკვე იჩინა თავი და აწ კიდევ უფრო გარკვევით გამოჩნდება.

ტ. კახიძე.

---

*) იმედი მაქვს ბ-ნ გ. ნ. იოსელიანი, როგორც თავ-მჯდომარე კრებისა, ნათქვამს დამიმოწმებს.

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 30 ივნისს 1899 წ. ბანკის დარბაზში, ფრეილინის ქუჩაზედ, ქართველ თავად აზნაურთა სახლში მოხდება ხელ-მეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა, განუმეორებლად; ვაჭრობაა შემდეგი მამულებისა, რომლებიც გაუყიდველი დარჩა 1899 წლის 8, 10, 12 და 15 ივნისს ვაჭრობის დროს.

ქალაქის მამულები:

ტფილისისა:

ყაზაროვი დავით კარაპეტას ძე და **მინასიანცი** სოფიო არუთინას ასული, ეკატერინე, აიკანდუხტ და ასტგიგ კარაპეტას ასული: სამ-სართულიანი სარდაფიანი სახლი, სამ-სართულიანი ფლიგელი, ერთ-სართულიანი შენობა და სარაია, მიწა ზომით $604^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება ტფილისის მე 8 ნაწილში, რიყისა, პინასევიჩისა და სურპ-კარაპეტის ქუჩებზედ. თავნი ვალი 27522 მ. 23 კ. შესატანი გარდასახ. 1199 მ. 88 კ. სულ 28722 მ. 11 კ.

ზილიჯვი მიხეილ იაკობის ძე: ორ-სართულიანი სახლი და ორი ასეთივე ფლიგელი, მიწა ზომით 300 ოთხ-კ. საჟ. ქ. ტფილისის მე-10 ნაწილში ვაგზლის პირდაპირ, ავჭალის ქუჩის ბოლოში. თავნი ვალი 15863 მ. 65 კ. შესატ. გარდასახ. 588 მ. 57 კ. სულ 16452 მ. 22 კ.

თუთრამე დავით გიორგის ძე, იგივე გლახას ძე: სამ-სართულიანი სახლი მეზონინით და სარდაფით და ორ სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 205 ოთხკ. ს. ქ. ტფილისის მე-2 ნაწილში ავრაჟის ორს ქუჩაზედ: თავნი ვალი 23233 მ. 47 კ. შესატ-გარდასახ. 867 მ. 60 კ. სულ 24101 მ. 07 კ.

ხანგელდიანცი ხაჩატურ არუთინას ძე: ორ სართულიანი სახლი, მიწა ზომით 85 ოთხკ. საჟ. ქ. ტფილისის 1-ლ ნაწილში, ვარდისუბანში. თავნი ვალი 4673 მ. 85 კ. შესატ-გარდასახ. 178 მ. 72 კ. სულ 4852 მ. 57 კ.

ონანოვი ფირა ონანის ძე: ორი ერთ-სართულიანი შენობა, მიწა ზომით 120 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისის მე-10 ნაწილში, დიდუბეში, თავნი ვალი 5875 მ. 42 კ., შესატ. გარდასახადი 221 მ. 68 კ. სულ 6097 მ. 10 კ.

ქუთაისისა.

შელიავა ლუკა სტეფანეს ძე: ერთ-სართულიანი შენობა, მიწა ზომით 77 ოთხ-კ. საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ქ. ქუთაისში, კათოლიკეთა სასაფლაოს მახლობლად. თავნი ვალი 943 მ. 99 კ., შესატ. გადასახ. 53 მ. 04 კ. სულ 997 მ. 03 კ.

ჩხეიძე არჩილ დავითის ძე: ორი ერთ-სართულიანი სახლი, რომელთაგან ერთი სარდაფიანია, ორი ერთ-სართულიანი შენობა და ასეთივე შენობა, მიწა ზომით 183 ოთხ-კ. საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება, ქ. ქუთაისში, მესხეთის ქუჩაზედ. თავნი ვალი 4972 მ. 51 კ. შესატ. გარდასახ. 230 მ. 39 კ. სულ 5202 მ. 90 კ.

ერევნისა.

ყაზაროვი ხაჩატურ მიკირტიჩის ძე: ორ-სართულიანი სარდაფიანი სახლი და ბაღი, მიწა ზომით 412 ოთხკ. საჟ., ანუ რამოდენიც აღმოჩნდება, ტაბაპაშინის ნაწილში, ქ. ერევანი. თავნი ვალი 1590 მ. 87 კ. შესატ-გარდასახადი 88 მ. 46 კ. სულ 1679 მ. 33 კ.

სოფლის მამულები.

ჯანდიერის ლევან გიორგის ძისა: (საჯარო ვაჭრობაზედ, რომელიც მოახდინა ბანკმა 27 ივნისს 1891 წ. დარჩა ავალიშვილს დავით ივანეს ძე): სახნავ-სათესი მიწა ზომით 35 დესეტ. ტფილისის გუბ., სიღნაღის მაზრა, სოფ. ჩუმლაყში, თავნი ვალი 680 მ. 67 კ. შესატ-გარდასახადი 49 მ. 72 კ. სულ 1030 მ. 39 კ.

ზანდუკელი ილარიონ ოტიას ძე: ვენახი, მიწა ზომით 4 დესეტ. 1900 ოთხ-კუთ. ს. ტფილისის გუბ., დუშეთის მაზრა, აგარაკ ქილვანში, საკანაფის ხევში. თავნი ვალი 1820 მ., შესატანი გარდასახადი 55 მ. 26 კ. სულ 1875 მ. 26 კ.

ტატიშვილი პავლე დიმიტრის ძე: ვენახი და საბოსტნე ადგილი. მიწა ზომით $1^1/_2$ დეს. ტფილისის გუბ., გორის მაზრა სოფ. ხოვლეში. თავნი ვალი 780 მ., შესატანი გარდასახადი 27 მ. 70 კ., სულ 807 მ. 70 კ.

ჩერქეზიშვილისა ბარბარე დავითის ასული: ვენახი, მიწა ზომით 2 დეს. 528 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილისის გუბ. სიღნაღის მაზრა, აგარაკს ჩაილურში. თავნი ვალი 780 მ., შესატანი გარდასახადი 27 მ. 70 კ. სულ 807 მ. 70 კ.

ბოლაშვილი ტატო გლახას ძე: სახნავ-სათესი მიწა და ვენახი, მიწა ზომით 4 დესეტ. 800 ოთხ-კ. საჟ. ტფილისის გუბ. გორის მაზრა, სოფ. დიცში. თავნი ვალი 500 მ., შესატანი გარდასახადი 32 მ. 58 კ., სულ 532 მ. 58 კ.

ჯორჯაძე ნოდარ მიხეილის ძე: სანახირო და ტყე, მიწა ზომით 179 დეს. 1555 ოთხ-კ. საჟ. ტფილ. გუბ. თელავის მაზრა აგარაკ საბუეში. თავნი ვალი 450 მ. შესატ. გარდას. 29 მ. 45 კ., სულ 479 მ. 45 კ.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური
ბორონ-ტიმოლის საპონი
გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელ ლაქებს, ფერის მკრთალსა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს, ვურჩელს, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღლის ხარისხის, ეს საპონი იხმარება.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ. $^1/_2$ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება ყველა საუკეთესო საფთიაქო მაღაზიებში და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსის მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ადმურისთან, კავკასიის საფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინთან, გრინგაუზთან, ძმ. ჰოპენვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—13)

განვიძრახე რა ყოველივე ანგარიშის გასწორება, რათა შევადგინო ანდერძი, უმორჩილესად ვთხოვ ყველას, ვისაც აქვს ჩემგან ვადა გასული, ან ვადა გაუსვლელი თამასუქები, ან სხვა რამე ვალდებულების ქაღალდები, მომიხოვონ და მიიღონ ივლისის ოცამდე ამა 1899 წლისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერს ჩავთვლი ყალბად და უკანონოთ.

გიორგი ბარისის ძე კოსტავა

(3—ნ.—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 24 го Іюня 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.